საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), არაპირდაპირი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომელიც იკრიბება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე.

დღგ-ით იბეგრება აგრეთვე საქონლის და მომსახურების იმპორტი. საქონლის ფასში დღგ შეაქვს მწარმოებელს ან გამყიდველს და მას იხდის მყიდველი. დღგ ყველაზე ახალი და მაღალშემოსავლიანი გადასახადია იმ გადასახადებს შორის (აქციზი, ქონების გადასახადი), რითაც ივსება ბიუჯეტი.

დღგ-ით დაბეგვრის მექანიზმი პირველად შეიმუშავა ფრანგმა ეკონომისტმა მ. ლორემ (1954). 1970-იანი წლებიდან იგი სავალდებულო გახდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. მისი ყველაზე დაბალი (5%-იანი) განაკვეთი დაწესებულია იაპონიაში, მალაიზიასა და სინგაპურში, ხოლო ყველაზე მაღალი (25%) – შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში (2009). 2009-თვის დღგ 137–მდე ქვეყანაში იყო შემოღებული. დღგის სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში (მაგ., აშშ და ავსტრალია) დღგ საერთოდ არ იკრიბება.

საქართველოში დღგ შემოიღეს 1992 წ. 15 მარტიდან. იგი წარმოადგენს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. უკანასკნელ წლებში მისი მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2010 წ. 2,2 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგადასახადო შემოსავლების თითქმის 50%-ია. მან შეცვალა ადრე არსებული ბრუნვის გადასახადი. თავდაპირველად დღგ-ის განაკვეთი შეადგენდა დასაბეგრი ბრუნვისა და დასაბეგრი იმპორტის 28%-ს, რ-იც შემდეგ 14%-იანი (1993) და 20%-იანი

(1994) განაკვეთით შეიცვალა. 2005-იდან კი დღგ-ის 18%-იანი განაკვეთი მოქმედებს.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს დღგ-ის გადამხდელთა სავალდებულო და ნებაყოფლობით რეგისტრაციას, რასაც გადამხდელი პირი იმ შემთხვევაში გაივლის: ა) თუ ის ეწევა ეკონ. საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 200000 ლარს; ბ) ეკონ. საქმიანობის ფარგლებში აწარმოებს აქციზურ საქონელს (ან იმპორტს); გ) ეკონ. საქმიანობისას მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად (ან ერთ დღეში) დღგ-ით დასაბეგრი თანხა აღემატება 200000 ლარს. პირი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მიწოდების განხორციელებამდე. ყველა ქვეყანაში, მ. შ. საქართველოშიც, დღგ-ისაგან გათავისუფლებულია ფინანს. მომსახურება, პრივატიზაციის დროს სახელმწ. ქონების მიწოდება, საგანმან. მომსახურება, ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების და ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება (იმპორტი), ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტ-რის ბეჭდვა, მიწოდება, იმპორტი და რეალიზაციის მომსახურება, საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტი და სხვ.

საქართვ. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრ ოპერაციებსაც, რ-საც განეკუთვნება: საქონლის ექსპორტი; საქართვ. ეროვნ. ბანკისათვის ოქროს მიწოდება; საქონლის (მომსახურების) მიწოდება, რ-იც განკუთვნილია უცხოეთის დიპლ. წარმომადგენლობათა ოფიც. სარგებლობისათვის; საერთაშ. გადაზიდვები; ტურისტული მომსახურების გაწევა; ძირითადი საშუალებების სარემონტო მომსახურება; ელექტროენერგიის გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, წარმოება და მიწოდება.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა ი., ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2002; საგადასახადო დაბეგვრა, თბ., 2006; საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2008.

ი. მესხია

ლ. ჭუმბურიძე